

იურიდიული, ქონების მართვისა და მონიტორინგის სამსახურის  
მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

1. საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- უმაღლესი განათლება - სოციალური მეცნიერებების მიმართულებით;
- მონიტორინგის სფეროში მუშაობის არანაკლებ 1-წლიანი გამოცდილება;
- სასურველია უცხო ენის (ინგლისური ენა/რუსული ენა) ცოდნა;
- სასურველია ძირითადი საოფისე კომპიუტერული პროგრამების (MS office Word, Excel, Power Point) დამაკმაყოფილებელ დონეზე ცოდნა.
- ექსტრემალურ ვითარებაში მუშაობის უნარი;
- გუნდური მუშაობის უნარი;
- კომუნიკაბელურობა;
- ენერჯიულობა;
- გამართული მეტყველების უნარი;
- ორგანიზებულობა და პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა;
- კოლეგიალობა;
- ანალიტიკური აზროვნება;
- დაძაბულ რეჟიმში მუშაობისა და ღროის მართვის უნარ-ჩვევები;
- ფუნქციური წერის უნარი;
- პროფესიული უნარ-ჩვევები.

2. საკონკურსო თემატიკა:

1. საქართველოს კონსტიტუცია;
2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია;
3. საქართველოს კანონი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი (I, II, III, IV თავები);
4. საქართველოს კანონის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 103<sup>ე</sup>, 107<sup>ა</sup>, 146<sup>ა</sup>, 148<sup>ე</sup>, 150-ე 151-ე, 151<sup>ე</sup>, 152-ე, 152<sup>ა</sup>, 153<sup>ა</sup>, 159-ე და 159<sup>ა</sup> მუხლები;
5. საქართველოს კანონი „ნარჩენების მართვის კოდექსი“ (31-ე-36-ე, 39-ე, 43-ე, და 46-ე მუხლები);
6. საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილება „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“;
7. საქართველოს კანონი „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“;
8. საქართველოს კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“;
9. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“;
10. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილება „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, სანყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის

სათვასურის, ქირის საწყისი სათვასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“;

11. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2018 წლის 5 მარტის №7 დადგენილება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის ბულვარის დებულების დამტკიცების შესახებ“.

### 3. ფუნქციები:

1. ბულვარზე დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში, ტერიტორიაზე ჩადენილ ცალკეულ სამართალდარღვევებზე საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით შესაბამისი სამართლებრივი ქმედებების განხორციელება;
2. ბულვარის ადმინისტრაციის მიერ მიღებული ამკრძალავი ზომების კონტროლი, დაწესებული შეზღუდვებისა და დადგენილი მოთხოვნების დაცვის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება;
3. ბულვარის საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებულ ქონებასთან დაკავშირებით დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე მხარეთა მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მონიტორინგის განხორციელება, დადებული ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში სარგებლობაში გაცემული ქონების ადგილზე დათვალიერება და დაწესებული გადასახადების დროული და სრული ოდენობით ამოღების უზრუნველყოფა;
4. ბულვარის სტრუქტურული ერთეულების მონიტორინგის განხორციელება;
5. სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე უფლებამოსილია ბულვარის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელსა და თანამშრომელს მოსთხოვოს მათ ხელთ არსებული ყველა საჭირო დოკუმენტაცია და საჭიროების შემთხვევაში განახორციელოს მათი მიღება დედნის ან დამოწმებული ასლის სახით;
6. ახორციელებს ბულვარის ტერიტორიაზე დაცვის სამსახურის მიერ შესრულებულ სამუშაოებზე კონტროლსა და კოორდინაციას;
7. ღირეფტორისა და სამსახურის უფროსის მიერ გაცემული ცალკეული დავალებებისა და მითითებების შესრულება.